საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-172

11/03/2022

ქ. თბილისი

„შპს „ვერელი+“-ზე ქ. გორის სოფ. ორთაშენში ასფალტის საწარმოს მიმდინარე საქმიანობაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2010 წლის 30 დეკემბრის №ი-653 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

2022 წლის 10 თებერვალს სამინისტროს მომართა შპს „ვერელი+“-ის დირექტორმა და ითხოვა 2010 წლის 27 დეკემბერს გაცემული №87 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმება.

2010 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ შპს „ვერელი+“-ის ასფალტის წარმოებაზე (გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. ორთაშენი) გაიცა №87 (27/12/2010) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საწარმო აღარ ფუნქციონირებს. შესაბამისად, საქმიანობის განმახორციელებელი ითხოვს ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაუქმებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „ვერელი+“-ის განცხადებისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „ვერელი+“-ზე ქ. გორის სოფ. ორთაშენში ასფალტის საწარმოს მიმდინარე საქმიანობაზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2010 წლის 30 დეკემბრის №ი-653 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ვერელი+“-ს;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ვერელი+“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი,

მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ოთარ შამუგია

მინისტრი